სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

03 / ივლისი / 2026 წ.

KA080118992662126

№ **2022**

განკარგულება

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილეებს შორის საზედამხედველო და საკოორდინაციო სფეროების განაწილების თაობაზე

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების, საქართველოს მთავრობის 2026 წლის 28 აპრილის № 170 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დებულებისა და სტრუქტურის“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2026 წლის 28 მაისის № 83 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებისა და საქმიანობის წესის“ მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის, „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე კახი დემეტრაშვილის დანიშვნის თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 03 სექტემბრის № პ-226 განკარგულების, „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე გელა გელაშვილის დანიშვნის თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 20 აპრილის № 1223 განკარგულების, „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე ლევან ბატიაშვილის დანიშვნის თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2026 წლის 07 ივლისის № პ-133 განკარგულებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად:

1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილეს – კახი დემეტრაშვილს საკურაციო სფეროებად განესაზღვროს სასწავლო ცენტრის, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის, შრომის უსაფრთხოების, პერსონალურ მონაცემთა დაცვის, ადამიანური რესურსების, ინფორმაციული უსაფრთხოებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მართვასთან დაკავშირებული საქმიანობა და დაევალოს ზემოაღნიშნული სფეროების ფუნქციონირების კოორდინაცია.

2. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილეს – გელა გელაშვილს საკურაციო სფეროებად განესაზღვროს ფინანსური მართვისა და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტთან და მონიტორინგის დეპარტამენტთან დაკავშირებული საქმიანობა და დაევალოს ზემოაღნიშნული სტრუქტურული ერთეულების ფუნქციონირების კოორდინაცია.

3. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილეს – ლევან ბატიაშვილს საკურაციო სფეროებად განესაზღვროს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტთან და ანალიტიკურ სამსახურთან დაკავშირებული საქმიანობა და დაევალოს ზემოაღნიშნული სტრუქტურული ერთეულების ფუნქციონირების კოორდინაცია.

4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილეებს შორის საზედამხედველო და საკოორდინაციო სფეროების განაწილების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 14 დეკემბრის №2957 განკარგულება.

5. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე	ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად	გიორგი ლაცაბიძე